კლდე

№ 39

21 ქრისტეშობის. 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი:

1. მეთაური. 2. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. 3. Novus rerum crdo.—დიოგენისა. 4. ქართული სიმღერა (ლექსი).—ილიკო რაზმელისა. 5. ომი და ხალხთა უფლება.—დ. კასრაძისა. 6. დიდი შეცდომა.—შ. ქ.-ძისა. 7. ქართული თეატრი.—Arbiter-ისა. 8. ფაუსტი —ა. შ-ისა.

იაპონელთა რაზმი მავთულით დახლართულ სანგრებში.

თბილისი 21 ქრისტიშობისთვე 1914 წ.

ქვეყნიერების უდიდესი ომის აკოჩრებული ტალღები, სისხლის ზვირთებით მოფენილი ზღვა მძლავრ სახელმწიფოთა შებრძოლებისა, მათგან ატეხილი განმანადგურებელი ქარიშხალი—ჩვენს პატარა სამშობლოსაც მოუახლოვდა. ათასი წლიბით დაუცავს ჩვენს კლდოვან მთებსა ჩვენივე ტურფა ველები, ჩვენი სამოთხის ხეობანი განადგურებისაგან და იქ, საცა მტრის ურდოები გაიელვიდნენ, რომ აღეგავათ საქართველო პირისაგან მიწისა—კვლავ აღორძინებულა და განახლებულა ფენიქსებურ ჩვენი სიცოცხლე. დღეს ბედმა შეგვყარა ბრძოლა—დიდ რუსეთთან ერთად—ძლიერ, კულტურულსან და სასტიკ მტერთან, რომელიც მსხვერპლად იწირავს ჩვენს საუკეთესო შვილებს, ჯანსაღ და მამაცს ჯარის კაცებს.

მაგრამ სასტიკნა ბედმა არ გვაკმარა ეს მსხვერპლი სისხლისა, მიტანილი საერთო სახელმწიფოს საშსხვერპლოზედა და დღეს ომის მჭექარე ხმა მოუახლოვდა თვით ჩვენს საზღვრებსა. ჩვენი კიდეები იქმნებიან თვით ბრძოლის ასპარეზად და ძალა გამოლეულ ერს უხდება ტრიალი ორ დიდ შებრძოლთა შორის. გვიანდაა ფიქრი იმაზედ, რომ ის ქართველი ჯარი, რომელიც ამამაცურად და თავგანწირვით იბრძვის პოლონეთში, ათასკეკად გაღონიერებული იქმნებოდა საშშობლო მთებისაგან და საათანადო პასუხს გასცემდა ყოველი მხრიდან მოსულ მტერსა, დღეს ეს გათავებული საქმეა და საზრუნველი მხოლოდ ერთი გვაქვს—თავი დავიცვათ განადგურებისაგან. საერთაშორისო კანონები ეფლებას აძლევენ ყოველ მშვიდობიან მკვიდრებს—უზრუნველყოფილად ივულოს თავისი სიცოცხლე და საკუთრება, თუ ომის მსელეობაში არ ჩაერია და შეიარაღებულ ძალთა შეტაკებაში მონაწილეობა არ მიიღო. რა საკვირველია, ომის ცეცხლი ადვილად ჰქ�lavs ამ ჰუმანიურს კანონსა, მაგრამ მშვიდობიანი მცხოვრებნი მაინც მარტო მშვიდობიანობას უნდა იცავდნენ, თუ სრული მოსპობა არა სურთ ჩვენი ვალია ვიზრუნოთ ჩვენს ფიზიკურ არსებობაზედ, რომ მებრძოლ მხარეებს ხელი არ შეუშალოთ და საბაბი არ მიეცეთ ზედმეტი ხოკვა-ქოლეტისა-

მშვიდობიანობა! სრული მშვიდობიანობა, მოქალაქენო, რომ შიშის ზარით გაძოწეულმა პანიკამ არ გამოიწვიოს არევ-დარევა, აქეთ-იქით ხეთქება და ისეთი ნაბიჯები არ გადაგვადგმეინოს რომელნიც კეთილ-გონიერებას არ ექვემდებარებიან. ისეთი საშიში არა არის რა, როგორც თვით შიში და მას უნდა ვერიდნეთ მთელის ჩვენის ძალებით

ბ. ბ.

ქ შ. წ.-ბ. ბ. ს.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზედ დადგენილ იქმნა, რომ საწევრო გადასახადი ისევ სამი მანეთი დარჩეს. უბრალო მკითხველისთვის—საკითხიც უბრალოა. მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ამ საკითხის გადასინჯვასთან ბევრი რამ იყო გადაბმული. კენჭის ყრამ დაგვიმტკიცა, რომ ყველა ისე არა ფიქრობდა როგორც ჩვენ, მაგრამ ჩვენ ბევრ იმედებს ვამყარებდით მაზედ. ჩვენი ეურნალი იმ თავითვე იმ აზრს ადგა, რომ საწევრო გადასახადი უნდა შემცირებულიყო. ასეთი მოთხოვნილება დასელებისა სამართლიანად და სასარგებლოდ მიგვაჩნდა საზოგადოების წარმოებისათვის. მაგრამ მარტო ამით არ ვხელმძღვანელობდით ამ საკითხში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ საკითხის გარშემო ერთგვარი modus vivendi შეიქმნებოდა და ჩვენ დაქსაქსულ საზოგადოებრივ ძალებს მოქმედების ერთ კალაპოტში ჩაყენებდა. ამას გვიკარნახებდა მთელი აწმყო და ის მომენტი, რომელსაც განვიცდით ჩვენ. ეჭვი არ არის, რომ შეთანხმება ერთს საკითხში გამოიწვევდა შეთანხმებ ს სხვა მრავალ საკითხშიაც. მაგრამ ეს ვერ შეიგნეს ზოგიერთმა ჭკვის კოლოფებმა და სწორედ ისინი გამოვიდნენ გათიშვისა და დაქუცმაცების მომხრეთ, ვინც დღე მუდამ გაერთიანებაზედ ჰყვირიან.

ჩვენ არ შეგვიძლიან უკრიტიკოთ დავსტოვოთ ის საბუთები, რომლითაც იბრძოდნენ მოწინააღმდეგენი. არსებითად ეს საბუთები ისე უმწეონი იყვნენ, რომ ნაბიზე ლაბარაკიც არა ღირს. საგულისხმიერია მხოლოდ ის, რომ პოლიტიკურ ბეცთა ხელში ამ საბუთებმა ულტრა-რეაქციონური ს

გაგვეწია. ამას ამბობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაგანაც უფრო მეტ ჭკუას და არგუმენტაციას მოველოდით. ჩვენ განვიცდით ისეთ წუთს მსოფლიო ნგრევისა და განადგურებისას, რომ რომელიმე პატარა საზოგადოების დაკეტვა სულ ადვილი საქმეა. მაგრამ ვინც ეხლა მხოლოდ ამ პატარა შიშით სცხოვრობს, მათზედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოკლებულნი ყოფილან სიამოვნებას განიცადონ ცვლილებით უფრო დიდი შიში და ისეთ საცოდავ ადამიანებად არიან მოგვჩვენებია, როგორც ბატონნი წევრნი გამგეობისა, რომელნიც სიმამაცეს საზოგადოების ძველი წესების დაცვისას თავისავე სილაჩრეზედ ამყარებდნენ. როდესაც დრონი შეიცვლებიან, ამ ვაჟბატონებს საკმაო დრო ექმნებათ იგონონ თავიანთი საქციელი!

საცოდავი მაგალითი ბატონ არჩილ ჯაჯანაშვილისა, რომ ოდესღაც, სადღაც, რომელიღაც საზოგადოება დაკეტესო, ჩვენც გვაგონებდა იმ ნეტარ დროს, როცა გამგეობის სავარძელში დიდი ილია ჭავჭავაძე იჯდა და ეხლა კი ეს [illegible]მწერ. და სწორედ მის მაგვარ და „სახალხო ფურცლის“ დამქაშების ბრალი იყო, რომ ინსინუაციების და ტენდენციურ ანგარიშების ბეჭდვით, „მუშათა“ სიტყვებით და ტერორით ისეთი სულისკვეთება შექმნეს, რომ ერთმა წევრმა წამოიძახა: „როგორ, ჩვენ ორმოცი წელიწადი საზოგადოებას ვქმნით და დასელებს ეხლა მანეთად უნდათ მისი წაღებაო!“ აი, სიტყვები, რომლებიც სავსებით გამოხატავდნენ მოწინააღმდეგეთა სულისკვეთებას მაგრამ მათ ავიწყდებათ რომ ქართველ ერის გაერთიანებაში, მის საზოგადო დაწესებულებათა უკეთეს წარმართვაში, ისინი. ვისთვისაც ძვირფასია ეს პრინციპი, განურჩევლად მიმართულებისა; მისცემენ არა მარტო მანეთს, არამედ ყველაფერს და ეს იქნება ის უდიდესი საწევრო გადასახადი, რომელსაც არჩილ ჯორჯაძისაგან გონება გამშუქებული „მუშები“, სამწუხაროდ ველარ შესწვდებიან.

„Novus rerum ordo“..

„ნოვ. ვრ.“ დასავლეთ ევროპიდან ერთი კორესპონდენტი უგზავნის ფრიად დამახასიათებელ წერილს, რომელსაც მოკლედ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს:

„პარიზის ღვთის-მშობლის ტაძარში“ ამას წინად წარმოთქმულ იქმნა სიტყვა, სადაც სხვათა შორის მღვდელი ფიცს ართმევდა დამსწრე მლოცველთ, რომ გამარჯვების შემდეგ უსათუოდ დიდებული ძეგლი უნდა დავუდგათ ჟანნა დ'არკსაო, რა თქმა უნდა, განზრახვა ფრიად სიმპატიურია, ოღონდ ერთი კითხვა იბადება, ნუ თუ ომის შემდეგ ხალხს იმდენი ფული შერჩება, რომ ამ ძეგლისთვის მოიცალოს? ნუ თუ ის ნამცეცები, რაც ომის ღმერთს ჩაუნთქმელი გადაურჩება, უფრო საჭირო არ იქნება სხვა არსებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? ტაძარი? ძეგლი. თუ საქმე მარტო ეს არის, უფრო უმჯობეს წინადადების მიცემა შეიძლება, რომ შთამომავლობა უკვდავი იქმნეს. მერე ვინ იცის, რა ფრთოსან იდეების გაფურჩქვნა არ შეიძლება! ყველა ადამიანი სცდილობს მზგავსი ნანინით, ხალხს თვალები დაუხუჭოს და ოცნების აკვანში დაარწიოს, რომ შეპაძრწუნებელ სინამდვილის ლანდი ერთ წუთით მაინც განდევნოს მეხსიერებიდან. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ტკბილი ხმების იქით ატუზულია უფრო მკაცრი სინამდვილე, სასტიკი სიფხიზლის მეტოქე, რომელიც განუწყვეტლივ ერთსა და იმავე საზარელ კითხვას იძლევა: „როდის დაჰკრავს ჩვენი დღესასწაულის ბრწყინვალე საათი. ნეტავი როდის?“ თუ რომ ოფიციალურ „ცნობებს“ დავუჯერებთ, თვითეული მებრძოლი მხარე ცალ-ცალკე, ხან კიდევ ერთსა და იმავე დროს თითქმის გამარჯვების უკანასკნელ დროშას მოაფრიალებენ, თითქოს ყველაფერი გათავდა, მორჩა, მაგრამ... შეხედავთ და მეორე დღეს ეს გამარჯვება სადღაც ჰქრება, აი მაგალითად, ამ დღეებში იტალიის ოფიციოზი, გაზეთი „Giornale d'Italia თავგამოდებით ირწმუნებოდა, საცაა ავსტრია მომაკვდინებელ მახვილს ჩასცემს სერბიასაო, მაგრამ... საფრანგეთში კიდევ სულ წინააღმდეგს ამტკიცებდნენ, იქაური ჟურნალისტების აზრით ბერლინში რუსული შობა უნდა ედღესასწაულათ, მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება პირველზე უფრო სასიამოვნოა, მხოლოდ მომხიბვლელ ზღაპრად დარჩა. ვფიქრობ და გონს ვერ მოვსულვარ, როგორ მოხდა, რომ ამ სამი თვის ამბების შემდეგ კიდევ მოიპოვებიან ისეთი მოხალისენი, რომელთაც მზგავსი წინასწარმეტყველება არ ეზარებათ!.. დღეს-დღეობით ძნელია წინასწარის გადაწყვეტით თქმა, ან როგორ შეიძლება, როდესაც თვითეულ დღეს სულ მოულოდნელი ამბავი მოაქვს! საქმე ის კი არ არის, რომ მტერი

აღგვემატა თვისი ანგარიშით, იმედით, არც თუ ის, რომ ჩვენს ოპტიმისტურსა თუ პესიმისტურ წინასწარ განჭვრეტას არ მოუხდა ახდენა, არამედ ის, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკების შეცდომათა და ანგარიშის შეშლის თუ გამართლების საზოგადო ჯამი თითქმის თანაბარია. განა გასაოცარი არ არის, რომ სამი თვის ომის შემდეგაც, გერმანია კვლავ მტკიცედ და შეურყეველად იბრძვის, არ უყურებს ამდენ ზარალს, არმია ორ დიდ ნაწილად გაუყვია და აღმოსავლეთ-დასავლეთზე ერთ ნაბიჯსაც არ უთმობს მოკავშირეებს. გვარწმუნებენ, რომ მტერს ადრე თუ გვიან ძალ-ღონეს გამოულევენ და შემუსრავენ, მაგრამ სახელდობრ როდის? აი კითხვაც სწორედ ეს არის. დღეს ამ გაჯიუტებულ ომს თითქმის საზართლიანად უწოდებენ საალყო იერიშებს. მაგრამ სადაა ეს ციხე, რომლის გარშემოც თითქმის რამდენიმე ასეულ კილ. მანძილზე გაჭიმულია სანგრებიანი თხრილები? ან რამდენი დღეა საჭირო, რომ ეს სიმაგრე აღებული იქმნეს? ჩვენს წინ ჰომიროსის ხანა აღზდგა. მოწინააღმდეგენი ხშირად სანგრებიდან ერთმანეთს ეხმატკბილებიან, როცა ომი არ არის, ხუმრობენ, ერთმანეთს აცინებენ. სროლის შემდეგ ფრანგიც და გერმანელიც ერთსა და იმავე სოფელში მიდიან სანოვაგის მოსატანად. არა, ეს არც ისე ადვილია, როგორც ეს წარმოდგენილი გვაქვს. გერმანია კოლექტიურ ნაპოლეონად გადარიქმნა, მას სწამს თვისი ვარსკვლავის ბედი. აი, რატომ ვეჭვობთ, რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს დიპლომატთა რიხიან დასკვნას, რომელიც მათ გამოაქვთ მწვანე მაგიდის გარშემო მუსაიფის დროს:

— სულერთია, ჩვენ მივალთ ბოლომდე...

რა თქმა უნდა, ომი გათავდება დღეს და ხვალ თუ არა, თვისა, სამი თვის უკან, ან არა და ხუთი წლის უკან. ჩვენი რწმენაა, რომ მტერი უნდა დამარცხდეს. მაგრამ ისე კი, რომ მას სახე ჰქონდეს წაშლილი. აი, ამ მასალისაგან ჩვენ შეგვეძლება ავაგოთ სულ სხვა პოლიტიკური თუ სოციალური შენობა, სხვა novas rerum ordo; რა თქმა უნდა, არა დიპლომატიური კამათით, არამედ ბრძოლის ველზედ მკვეთრი მახვილით. და აი, ომის დასრულების შემდეგ, სასურველი იყო მთელი ეს იარაღი, გამარჯვებულისა თუ დამარცხებულის, ერთად გადადნობილ იქმნეს, რომ იქიდან გამოვკვეროთ ერთი უდიდესი მახვილი, როგორც სიმბოლო შერიგებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობისა, რათა ყველა ერის სიცოცხლე, დიდისა თუ პატარისა, უზრუნველყოფილ იქმნეს სამარადისოდ. აი, ამ ძეგლზე ვოცნებობ, ამ ლიდებულ შენობაზე. ამაზე ვამყარებთ მთელს ჩვენს იმედს.

ᲕᲐᲠᲘᲔᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲘᲓᲘᲡᲘ.

ქართული სიძღერა

მომეცი ხელი უკანასკნელად.
უკანასკნელად მოეკარ გულსა,
და, თუ ნამდვილად გიყვარდი ძველად,
მომიგონებდე დაშორებულსა.
მე მივალ... ნება თავისუფალი
სამშობლოს მტრისკენ მიმეზიდება,
და ერთი არის იქ ჩემი ვალი:
ანუ სიკვდილი, ან გამარჯვება.
ხოლო თუ გულში სხვა ჩაგივარდეს
წინადვე კარგად საცნაურ ჰყავი,
რომ გულსა ისე შემოგწირავდეს,
ვით მე შევსწირე სამშობლოს თავი.
მშვიდობით... უკან არ დავბრუნდები,
მიწა მიმიღებს ვალ-გადახდილსა
და წინაპართა გმირთ საფლავები
შემიკედლებენ ღირსეულ შვილსა.
თუ არა იყოს სამშობლო ჩემი,
ნუმცა რა იყოს მის გარდა კიდე,
და ნუმც ველირსო, ბედით ნაგვემი
ცოცხალთა შორის სირცხვილად ვლიდე.
მაშ მომე ხელი უკანასკნელად.
უკანასკნელად მოეკარ გულსა
და თუ ნამდვილად გიყვარდი ძველად,
მომიგონებდე დაშორებულსა.

ილიკო რაზმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



(საფრანგეთი). ინგლისური თხრილები შამპანში.

დიდი შეცდომა

საწევრო გადასახადის შემცირების საკითხსა, მისგან გამოწვეულ ალიაქოთსა და მისი იმ სახით გადაწყვეტას, რომელსაც დაადგა უკანასკნელი კრება ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა, ჩვენთვის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხმა ერთნაირი დოსტაქრობა გაგვიწია ჩვენს ეროვნულ საქმეში ღრმა ანალიზი გაუკეთა ეროვნულს იდეას და დაგვანახვა მის სხეულზე მეტად საგულისხმიერო იარა. იარა, რომლის აღმოსაფხვრელად უნდა იყოს მიმართული ძალა და ღონე ყველასი, ვინც კი გულწრფელად ელტვის ეროვნულ აღორძინების იდეას, სწამს მისი მომავალი. აღმოჩნდა, რომ ეროვნულ იდეას მეტად დიდი სიმპატია მოუპოვებია, სალად გაუდგამს ფესვი იმ წრეში, რომელიც არის მჭედელი მომავალ დემოკრატიულ საქართველოსი.

მით უფრო საგულისხმიეროა ეს ამბავი, რომ მიუხედავად იმ სამსახურისა, რომელსაც სწევდა ერის წინაშე — ხალხში სამშობლო ენაზე თვითცნობიერების ეტანას, ჯგუფი გულს ისე არ უდებდა პრაქტიკულ თუ კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბებულ ეროვნულ მოქმედებას. დღეს კი სწორედ ეს ნაწილი დიდის თავგამოდებით იბრძოდა დღევანდელ პირობებში ქართული ერის კულტურულ ნიადაგზე ფართო შეკავშირების ერთ-ერთ საღსრისათვის — საწევრო გადასახადის ყველასათვის ხელმისაწდომ დონეზე დასაყენებლად. მეორეს მხრივ ამავე მოვლენამ ნათელ ჰყო, თუ რა შორს არიან ჩვენ ერის მსვლელობის სინამდვილის ალღოს აღებისაგან ისინი, ვისაც დღეს ეროვნული მიმართულების დროშა უჭირავთ ხელში?

საქმე ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენ ვფიქრობთ და ყველაც დაგვეთანხმება იმაში, რომ ეროვნულ იდეას მაშინ შეიძლება მიეცეს სალი და გონიერი მსვლელობა, თუ მას წინ უძღვის ისეთი საზოგადო დაწესებულება, ორგანიზაცია, სადაც ერი მოქმედობს, ერთიერთმანეთს ხელს უწვდის, ირაზმება საერთო საქმეში არა რაიმე პოლიტიკანობით, რაზედაც სრულიად უსაფუძვლოდ უთითებდნენ ზოგიერთნი, არამედ თვით საქმით; იყვარებს ეროვნულ საქმეებს, იყვარებს თვით ერს, განიცდის მის მაჯის ცემას, ჰღელავს და დაჰკანკალებს მის აწმყოს, ივსება რწმენით მის მომავალისადმი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაირაზმოს ერი, რომელიც თავს

გამოიდებს ეროვნულ დაწესებულებისათვის თვით ერისათვის. უბედურობა ჩვენი ცხოვრებისაც ის გახლდათ, რომ ჩვენ არა გვქონდა დაწესებულება, სადაც შეგვეძლო ერთი ერთმანეთისათვის ხელის გაწოდება; ეკლესია დაგვეკარგა, ერობა არავინ გვეალირსა, ქალაქის თვითმართველობა სხვას დარჩა. დარჩა არა იმიტომ, (ვაჩერებ მკითხველის ყურადღებას ამ მოვლენებზე, როგორც მაგალითზედ — რომ წარსულ მწარ შეცდომებს ჩვენთვის ჯერ ჭკუა ვერ უსწავლებიათ!) რომ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური პირობანი ასე ხელს უწყობდნენ სხვას არამედ უმთავრესად უფრო იმიტომ, რომ ამ ჩვენთვის დამზადებულ პოლიტიკას ხელს უწყობდა ჩვენ „მესვეურთა“ მოქმედება. ეს მოქმედება იყო ძალად პირადის, ან ვიწრო „რჩეულთა“ ჯგუფის გაღმერთებისა, ეროვნულ საქმის „მონოპოლიად“ ჩაგდებისა. იმის მაგიერ რომ საერთო საქმისათვის ხალხი მოეწვიათ, ერთხმად სდევნიდნენ, სპობდნენ მას, უფსკრულს აღრმავებდნენ. თავის თავს სინაის მთაზე გრძნობდნენ, ხალხს უსაქმურს და საცოდავს ბოლის ძირში მოღოლიალეს გულისხმობდნენ, რომლის გულისათვის ისინი „ქველმოქმედობდნენ“, მოწყალებას იღებდნენ. დაიბადა რაღაცა დაუძლურებული არისტოკრატიის გულგატეხილობა ხალხის ძალის მიმართ, რაღაცა უიმედობა, ჩივილი ჩვენს უკაცობაზედ, მოწიწება სხვის ინტელექტულურ სიმდიდრის წინაშე. ეს იმ დროს, როდესაც უცხონიც კი ჩვენ ცხოვრების ნაკლად ჩვენ ხალხოსნურ ინტელიგენტობის შეუფერებელს მრავალრიცხოვანებასა სთვლიან (იკსიმოვიჩი). თითით საჩვენებელი მოვლენა არ არის, რომ საზოგადოების საოთვეში მდგომი პირი სასალხო განათლების მხრივ ჩვენზე უკან ჩამორჩენილ ერზე სომხებზე გვითითებდა და გვპირდებოდა, რომ შეგვიშვებს საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ, როცა მათ მდგომარეობამდე მივაღწევთ—ესე იგი უკან წავალთ!

რეალური ეროვნულილი ძალის არაფრად ჩაგდება თანდაყოლილი ზნე იყო ჩვენი „მესვეური“ საზოგადოებისა. პისარევის მწარე სიტყვები რუსეთის ინტელიგენციის შესახებ სრული სიმართლეა ჩვენის შესახებაც: „ინტელიგენციის არსებაში მოიპოვება ერთი პატარა უჯრადი (клѣтка), სადაც დემოკრატიზმის სახელი სწერია, მაგრამ აქვს რამე შემაერთებელი ძარღვი ამ უჯრედს არსების უმთავრეს მოვლენასთან—გონებას და გულთან, რა მოგახსენოთ, უფრო კი არავითარი.“

ჩვენი დემოკრატაზმიც და ნაციონალიზმიც სწორედ ასეთ კუთხეშია მისვენებული, რომელსაც არც გონებასთან არც გულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

გვაპატიონ, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია წრფელი და გონიერი პატრიოტიზმი, რომელიც ერთად-ერთს ეროვნულს დაწესებულებაში ერს შემოსვლის სახსარს უხუთავს. ვერ წარმოგვიდგენია, სად უნდა შეიყვაროს ხალხმა ეროვნული საქმე, სად უნდა აღიზარდოს იგი? რომელი „მისტიკური“ მცნებისათვის უნდა გამოიდოს მან თავი? რა უფლებით უნდა მოსთხოვოთ რამე?

იშვიათად ვცდილვართ, რომ ჩვენი წარსული ისეთის სახით გვეჩვენებინა, რომ ღრმა პატივისცემა, სიყვარული და სიამაყე აღეძრა გულში, არც თანამედროვე საქმე გაგვინაწილებია, რომ მომავლის იმედი მიგვეცა.

ვგონებ, არავითარი უფლება არა გვაქვს მოვთხოვოთ თავი გამოიდონ საქმისათვის, საიდანაც სისტემატიურად იდევნებიან!

მით უფრო სავალალოა ეს ამბავი, რომ არც ერთი მართლა პატივსადები საბუთი არ იყო წამოყენებული სამართლიან მოთხოვნილების წინააღმდეგ. გვესმის სიფრთხილე, მაგრამ სრულიად უსაფუძვლო იყო, ისე როგორც მეორე მოსაზრებაც — შემოსავლის შემცირების შესახებ ჩვენ საზოგადოებას თავის წარსული აქვს და ამ წარსულს თავისი ისტორია და კანონები. ეს კანონები გახლავთ, **რამდენადაც იკლებს საწევრო გადასახადის რაოდენობა — იმდენად იზრდება შემადგენელობა** და ქონება საზოგადოებისა, იმდენად ფართოდ იფინება ეროვნული სიყვარულის შარავანდედით. აი კანონი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა, რომელიც მომავალშიც კანონად დარჩება.

არც დადგენილების გამოტანით არავინ ძალას ატანდა—თოფითა და ზარბაზნით მიდით მთავრობასთან და გინდა თუ არა დაამტკიცებინეთ ჩვენი დადგენილებაო. არ დაამტკიცებდნენ, ძველი ძალაში დარჩებოდა, ჩვენ კი დიდი ზნეობრივი გამარჯვება დაგვრჩებოდა—სურვილი გვაქვს შემოვიდეს ყველა ქართველი, ვისაც საეროვნო გადასახადის მანეთის შემოტანა შეუძლია—მაგრამ არ გვიშვებენ! აღკრძალული ხილი თავის ნაყოფს მოიტანდა!

სწორედ რომ გულსაკლავია ყველაფერ ამის შემდეგ ის, რაც ხდებოდა კრებებზედ. სწორედ, რომ ამ დიად ხანაში, ვიმეორებ ერთ-ერთ მოწინააღმდეგე ორატორის სიტყვებს, როდესაც ატეხილი

მსოფლიო ჩანთქვას ლპირებს ეძლეურებს და როდესაც — დაუმატებთ ჩვენ ჩვენი პატარა ერი ასეთ დიდს მსხვერპლს სწირავს, ასე ულმერთოდ იწურება სისხლიდამ დ ლარული იარებით, სწორედ ამ დროს არის საჭირო ძალების მოკრება, ერის შეკავშირება, ერთმანეთთან მტრობის მოსპობა — გინდ ჯგუფური თავმოყვარეობაც შეიწიროს ამ მოვლენამ. სწორედ რომ გულსაკლავია ის „ზარბაზნების შენავა — ბელურებზედ კი არა — ბუზებზედ", რომელიც წარსული შეცდომის ყვედრებაში გამოიხატა.

ნუ თუ ამ დიად მომენტის დროს ჩვენ ძალას, ჩვენს ენერგიას ერთმანეთის ლანძღვის, ჯგუფური ჯიუტობის მსხვერპლად გავხდით?

ეს უგონიერობა, უგულობა კი არა, მეტი, — დალატიც იქნება!

ვიკმაროთ წარსული კრებ ს შეცდომა, შეცდომა სამწუხაროდ საზოგადოებრივი ხასიათისა მეტად დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მომენტის დროსა

შ. ქ — ძე.



ომი და ხალხთა უფლება *)

აგერ რამდენიმე თვეა, რაც ევროპის ომი არა თუ არ დასკბრა, უფრო გართულდა, ლ თანდათანობით მეტ სიმკაცრეს იჩენს. ისიც არ არის ისე შორს, რაც ჩვენ საშობლოს კარის ზღურბლზე ამ ომის ტალღამ გადმოაბსეთქა. ჩვენი ხალხი შეფრთხა, შეშფოთდა. მასში ასი წლის განმავლობაში მიძინებულმა შიშიანობამ გაიღვიძა, ეს იმ შიშიანობამ, რომელიც მუდამ თან სდევდა ოსმალეთ სპარსეთის შემოსევას. ქართველი მებრძოლნი უკვე სამ-ოთხ ფრონტზე უბაგალითო ვაჟკაცობით სისხლსა ჰღვრიან. დაკარიელებული ჩვენი საშობლო მათს დანაკლისს აშკარადა ჰგრძნობს და აი, სწორედ ეს გრძნობა, სწორედ ამ სურათის გათვალისწინება აორკეცებს მცხოვრებთა ზემოდ ხსენებულ შიშს, პატრონი ვინღა გვყავს რომ დაგვიფაროსო. ნიშნებია ძველ უკეღმართ და ტრადიციულ შეძრწუნების მაგალითებისა, როდესაც ქართველები შემოსევის თავიდან ასაცილებლად მთა-ღრეში გაბოდნენ. მაგრამ ეს უსაფუძვლო შიშიც, რაკიდა გაჭრა ის დრო, როდესაც ამ სოფლების დარბევისა და აწიოკების ორონ-ტრიალში გამოუ[illegible] კაცობრიობა, საერთალია ბევრად არ[illegible]ათი მაინც ასე თუ ისე დაჰშორდა ბარბაროსობის ხანას, ნელ ნელა იგი იმუშავებდა ბრძოლის ახალ-ახალ საშუალებას. გაჩნდნენ ბევრნი, რომელნიც ომს უკიდურეს ველურებად სთვლიდნენ. კაცობრიობა პრინციპიალურად თითქოს ეთანხმებოდა იმ დებულებას, მაგრამ ფაქტიურად ომზე ხელი ვერ აიღო. საბაგიეროდ შეიმუშავა მშვიდობიან მცხოვრებთა უფლებანი, რომელნიც ძალაში შედიოდნენ. აგერ მთელი საუკუნე სულ იმის მეცადინეობაში არიან, რომ ომის საშუალებანი იყოს ჰუმანიური, ე. ი. რაც შეიძლება ადამიანის უფლებათა შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საშხედრო პირნი ისე ყველა ქვეყნის წარმომადგენელნი და გამოჩენილი იურისტები. უძველეს კონგრესად ითვლება 1780 წ. ეკატერინე დიდის მიერ მოწვეული პეტროგრადში, სადაც გამოჩენილ იქმნა „ნეიტრალურ სახელმწიფოთა არმიის როლი". შემდეგ აღსანიშნავია 1873 წ. ამერიკაში გამოცემული „ინსტრუქცია ჩრდილო შტატების ომის ასპარეზზე". ხოლო შემდეგ წელს, (1874) ჟენევის კონგრესი, რომელმაც შეიმუშავა ბრძოლის ველზე დაჭრილთა უფლებანი. ამის შემდეგ ჟენევაში, ლონდონში, პარიზში თუ პეტროგრადში მრავალჯერ მომხდარა კონგრესი, სადაც თითქმის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ესწრებოდნენ. ამ კონგრესებზე დადგენილ იქმნა შემდეგი კანონები, რომელთა ფაქტიური განხორციელება ყველა სახელმწიფომ იდვა თავს. აი ზოგიერთა საგულისხმიერო დადგენილებანი ამ ხანგრძლივი მუშაობისა:

უწინარეს ყოვლისა აკრძალულია მოწინააღმდეგის გაშავება. **პატივისცემა ურთიერთისა** ყველასათვის საყოველდღეულო დადგენილებად ითვლება.

მაგრამ პლატონიურ დადგენილებას, რომელსაც არასოდეს არ ლირსებია ცხოვრებაში განხორციელება და არც განხორციელდება, ვიდრე არსებობს მეტოქეობა და ომის ღმერთი. თან მისდევს უფრო რეალური, რაც ასე თუ ისე ძალაში უკვე შეეიდა, მაგალითად: „სასტიკად აკრძალულია ისეთ საშუალებათა ხმარება, რითაც ადამიანის სხეული მოშხამული იქმნება, ან ისე დასახიჩრდება, რომ მისი მოორჩენა გაძნელდება."

*) უმთავრესი ცნობები გ'ადმოღებულია აკადემიკოს ლ. ცნობილ იურისტურ ლიტერატურიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ვარშავაში „ეფრახგან ინსტიტუტში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მკითხველები ომში

კაპიტ. რომან ჩიკოიძე (დაჭრილია)

ლეონიდ ბაქრაძე (დაჭრილია)

კაპ. ნიკ. ციციშვილი (მძიმედ დაჭ. ორჯელ)

რა თქმა უნდა, აქ 42 სანტიმეტ. ყუმბარები კი არ არის მხედველობაში მიღებული, არამედ თოფის ერთგვარი ტყვია, რომელსაც „დუმ-დუმს“ უწოდებენ. ამ ტყვიის თვისებაა გასკდეს სხეულში და მომშხამველი გაზები შეუშვას სისხლში. ამით დაჭრილი მებრძოლი დიდს ტანჯვას განიცდის. ამ ტყვიის აკრძალვისთანავე ეს კანონი უფრო გაასაზოგადოვეს და დასძინეს რომ საზოგადოთ აკრძალულია მომშხამველ საშუალებათა ხმარება, როგორც მაგალითად, ა) მოშხამული იარაღის ხმარება; ბ) მოკვლა ან დაჭრა მტრისა, რომელიც დაჭრის იარაღს ანუ საშუალება აღარ მოეძებნება, რომ თავი დაიცვას, წყალის მოშხამვა და სხვა.

მრავალ ტყვეთა შორის არიან ისეთები, რომელთაც ფრთხილად უნდა მოექცნენ, პატივით, მზრუნველობით; ესენი არიან დაჭრილები. ყოველი დაჭრილი მტრისაა იგი თუ თავისიანი, წმინდაა და ერთგვარი მზრუნველობა ეჭირვება. ეს საერთაშორისო უფლებადაა აღიარებული. ეს პრინციპი პირველად ჟენევაში იყო ნათლად გაყვანილი. ამ კონგრესის ანგარიშის პირველი მუხლი აი როგორ აღნიშნავს მას: „მებრძოლნი თუ სხვა პირები, რომელნიც ოფიციალურად ომში იღებენ მონაწილეობას და დაჭრილნი იქმნებიან, ანუ ავად გამხდარნი, უნდა თანაგრძნობითა და პატივით იქმნენ მიღებულნი იმათგან, ვის ხელშიაც ჩაცვივდებიან“.

იმავე კონგრესის მე-28 მუხლში ნათქვამია შემდეგი: „ვინც ხელს მოაწერს ჩვენს კონგრესს, ვალდებულია თავის ერის კანონმდებლობას სთხოვოს ყოველ ომის დროს დაბეჭდონ და გაავრცელონ ჩვენ მიერ დადგენილი კანონი, რომ აკრძალულია ტყვეებისა და ავადმყოფთა ცუდათ მოპყრობა, აგ**რეთვე ცეცხლის წაკიდება და დარბევა**“.

ეს უკანასკნელი სიტყვები გამოწვეულია მეომართა დაუდევრობის გამო. აქ საერთაშორისო უფლების დამცველმა კონგრესმა ყურადღება მიაქცია არტილერიის სასტიკ განვითარებას, რომლის გამანადგურებელ ძალას ვერც ერთი დროის ცეცხლი ვერ შეედრება. ამიტომ კონგრესმა კონკრეტულად დასვა კითხვა: რომელი მხარე შეიძლება, რომ არტილერიის ცეცხლის ასპარეზად გარდაიქცეს? ამაზე უპასუხეს შემდეგი:

„აკრძალულია იერიშის მიტანა, ანუ ყუმბარების დაშენა და განადგურება სოფელ ქალაქისა, ანუ მცხოვრებთა და შენობებისა, რომელნიც არ იქმნებიან დაცულნი (დადგენილების მე-25 მუხლი).

შემდეგ ამ ფორმულას ჩაუმატეს ერთი სიტყვაც: აკრძალულია ყოველგვარი საშუალება იმ ქალაქ-სოფლისა დანგრევის და სხვა“ ეს საგულისხმიერო წინადადება ჰგულისხმობდა ჰაერის ნაოსნობას და პროჟექტილების სროლას, ეს კანონი შემუშავებული იყო 1899 წ. ხუთის წლის ვადით. 1907 წ. ხელმეორედ იქმნა იგი განხილული. მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთის ჯარი







არტილერია, ცხენოსანი და ქვეითი ჯარი.

F 651

ხედავად საფრანგეთის პროტესტისა, იგი გაუქმებულ იქმნა, ფაქტიურად, შეცვლილი შემდეგის სახ ით, რომ თუ შეიძლება ზარბაზნით იერიშის მიტანა, შესაძლებელია ჰაეროპლანებითაც მივუტიოთ. რა თქმა უნდა, აქ საქმე შეეხებოდა გამაგრებულს ქალაქ სოფელს და არა დაუცველს.

ქალაქის მდებარეობაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. შეუძლებელია ზარბაზნის წარამარად და უადგილოდ დაშენა. შემდეგის დაგვარად იერიშენი უნდა ეცადნენ ზარბაზნის ცეცხლი აცდინონ ისეთ შენობას, რომელიც ემსახურება საზოგადო კულტს, ხელოვნებას, მეცნიერებას, ისტორიულ ძეგლებს, საავადმყოფოებს და იმ ადგილებს, სადაც დაჭრილებს უვლიან. რა თქმა უნდა, ამ მუხლს ექმნებოდა თავისი შესაფერი შენიშვნა: „თუ ამ ადგილებს ომის საშუალებად არ გამოიყენებენ“ (მუხ. 27). ალყა შემორტყმულნიც ვალდებულნი არიან ამ ადგილებზე განსაკუთრებული და თვალსაჩინო ნიშნები ამართონ, რომ ალყის შემორტყმამდე მოიერიშეთ გათვალისწინებული ჰქონდეთ.

საერთაშორისო უფლება უფრო მეტსაც თხოულობს. მოსწმინდა მოვალეობად მიაჩნია, რომ არა თუ ისტორიული და საზოგადო შენობანი თუ ძეგლები, თვით მტრის კერძო საკუთრებაც კი ხელშეუხებელი იყოს, და არ იქმნეს განადგურებული იგი, თუ ამას არ მოითხოვს ომის უაღრესი მოთხოვნილება (მუხ. 23).

თქმა არ უნდა, კონგრესს უყურადღებოდ არ დარჩებოდა ის ველური ომის საშუალებანიც, რასაც ქართველები **მუხანათობას** უწოდებენ. „აკრძალულია ღალატითა და მუხანათობით მოკვლა და დაჭრა იმ პირებისა, რომელნიც მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნიან“, (მუხ. 23) ანუ მტრის პარლამენტსა, აკრებულისა და სხ. მებრძოლთა ტანისამოსით თავის სასარგებლოდ მოხმარება ისევე აკრძალულია როგორც განსაკუთრებულ ნიშნების გაგებალებითი მოხმარება“, (მუხ. 23). მუხანათ საშუალებასვე ეკუთვნის ყოველგვარი ძალდატანება, იძულება, ანუ მიცემულ სიტყვის დარღვევა, და სხვა ცბიერი საშუალებანი (მუხ. 24).

ომი, როგორც ეს ერთ დროს განმარტა ჟან, ჟაკ რუსომ კონგრესის მიერ აღიარებულ იქმნა როგორც სახელმწიფოს დამოკიდებულება მეორე სახელმწიფოსთან. ამ ფილოსოფიურ ტეზისიდან გამოდის რა კონგრესი, იგი ადგენს, რომ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს არა აქვს უფლება დაპყრობილ ხალხს მოსთხოვოს ფიცი ერთგულებისა (მუხ. 45). მას შეუძლიან მოსპოს მხოლოდ სუვერენიტეტობა დაპყრობილ სახელმწიფოსი, ხალხი კი თავის ქვეშევრდომთა თანასწორად გამოაცხადოს.

„დაცული იქმნეს პატივი და უფლებაი ყოველი ოჯახისა, თვითეულ ინდივიდუმის სიცოცხლე თუ კერძო საკუთრება, სარწმუნოება და ზნეჩვეულება. კერძო საკუთრების ჩამორთმევა ეკრძალვის ყველას“, (მუხ. 46).

სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა „მშვიდობიანობის კონგრესზე“ ერთხელ და უკანასკნელად დააკანონეს, რომ სასტიკად აკრძალულია ცეცხლის მოკიდება (მუხ. 47): „აკრძალულია არა თუ ყოველ სოფელ-ქალაქის გადაწვა, თვით ალყა შემორტყმულ სიმაგრისა (მუხ. 28). „სამართლიანობის ს ხელით აკრძალულია მოწინააღმდეგეების უფლებათა გაქელვა, მათი სტიქიური განადგურება (მუხ. 23).

მაგრამ მტერსაც ეძლევა ერთგვარი საშუალება მოწინააღმდეგის დასასუსტებლად. ეს გახლავთ სახელმწიფო ქონების ჩამორთმევა „ჯარი, რომელიც დაიჭერს მოწინააღმდეგის ტერიტორიას, იმ დაწესებულებათა კონფისკაციას მოახდენს, რომელნიც სახელმწიფო მართველობას ეკუთვნიან: ბანკებს, სამხედრო იარაღის საწყობთ, მაღაზიებს და საზოგადოთ იმას, რაც კი ომში ხელს უწყობს ადამიანს, (მუხ. 33, შენიშვნა 1).

განსაკუთრებით საყურადღებოა 56-ე მუხლი, რომელიც უცვლელივ მომყავს: „თვითეულ კომუნის საკუთრება, როგორც მაგალითად, ამა თუ იმ კულტის შესასრულებლად აგებული შენობანი, მოწყობისა, ხელოვნებისა თუ მეცნიერებისათვის დანიშნული ადგილები, თუნდაც სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ, ხელშეუხებლად დარჩებიან. ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას, იგი დევნილი იქმნება კანონის მიერ“.

არის ერთი უფლებაც, რომელსაც სამწუხაროდ გერმანიამ და ავსტრო-უნგრეთმა არ დაუჭირა მხარი. ეს გახლავთ მე 44 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ მოწინააღმდეგეთ ეკრძალებათ მტრის ტერიტორიის დაჭერის დროს მშვიდობიანი მცხოვრებნი აიძულონ და ათქმევინონ ნაოტევ ჯარის ცნობების მიცემა.

ლაშქრის სპასალართ ხშირად საშუალება არა აქვთ ჯარებს სურსათი მიაწოდონ. ამ შემთხვევაში ისინი მიმართავენ ხოლმე ერთგვარ საშუალებას, რომელსაც **რეკვიზიციას** უწოდებენ. ამ საშუალებას ერთგვარად ხმარობენ როგორც მტრის,

ისე თავიანთ ტერიტორიაზე. საერთაშორისო უფლების დამადგენელნი შეეცადნენ, რომ ეს სასტიკი საშუალება რაოდენადმე მაინც შეემსუბუქებინათ.

„რეკვიზიცია ვკითხულობთ 52 ე მუხლში, — შეიძლება მოხდეს ჯარებისათვის, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს თვით მხარესაც, რომ მკვიდრებნი არ დაიმშნენ. მისი მოხდენა შეიძლება თვითონ მაზრისა თუ ქალაქის თავთან შეთანხმებით, თუ რა აქვთ. ან რამდენის გაღება შეუძლიანთ... იმ შემთხვევაში, თუ სურსათის მიცემა არ შეეძლებათ, იხდიან ფულს, რაც მის შესაძენად დასჭირდებათ".

ძველია ფულის მოთხოვნა ერთგვარი კონტრიბუცია იყო რომ ქალაქ სოფელი, ხშირად თვით მთელი მხარე გადაწვისაგან დაეხსნათ. ამ ჟამად ეს ასე არ არის, იძულება შეუძლებელია, თუ კონტრიბუცია აღემატების მკვიდრებთა ძალ ღონეს. აქ ერთგვარი პასუხისმგებლობა დაეკისრათ თვითონ უფროსებს, რომ მკვიდრებნი არ შეიყვანონ გაჭირვებაში, არ დაარბიონ, არ გაბადონ იძულებული, რომ მთასა და ღრეში გაიქცნენ. ეგზეკუცია, სასტიკი მოპყრობა 50 მუხლის ძალით. პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ყოფილ ხელის უფალს, თუნდაც იგი ღმერთის თანასწორობაზე სდებდეს თავსა...

ამნაირად, თუ ეს მოკლედ ჩამოთვლილი კანონები გავითვალისწინეთ, ცხადია, ჩვენც, როგორც ერთი ერთეული და ნაწილი საერთაშორისო საზოგადოებისა, დაფარულნი ვართ კანონით. ალამამად ბანობის დრო თავის საუკუნოებს ჩაბარდა. მართალია მდელვარე საუკუნე გვერგო წილად, მართალია სასტიკი განცდა გვეშლება წინ, მაგრამ როდესაც ჭირი და წუხილი საზოგადოა, მით უფრო ამტანი ხდება იგი. საერთაშორისო ცეცხლის კოცონს შევყურებთ, მაგრამ შიში მაინც არ უნდა გვქონდეს, ნუ შევძრწუნდებით, ვინაიდან ჩვენს საღსა და გბირმებრძოლ დამცველთა გარდა, ჩვენ გვფარავს საერთაშორისო უფლებანი, რომლის აღნიშნული მუხლები ჩვენთვისაც ისევე კანონიერია, როგორც ყველა ადამიანისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ არსებობს ომი, თუ არ გამქრალა მისი საზარელი სახიერების ქარიშხალი, ამასთანავე არსებობს და ძალაშია თვით **ხალხის უფლებაც**, რომელიც ყოველ კანონზე უაღრესია.

დ. კასრაძე.

ქართული თეატრი

„გაწყვეტილი სიმი" დრამა 4 აქტად ნ. ბერიძისა. ბაკურ სულიკაურის.

ოთხშაბათს 17 დეკემბერს ქართული დრამის მსახიობთა ანსამბლემ წარმოადგინა ახალი ორიგინალური დრამა ბ. გორდეევისა „გაწყვეტილი სიმი". მინაარსი ამ დრამისა ბევრს შეეგ ვიტყობილი ექნება, „სახალხო ფურცლის" საკვირაო დამატებებიდან, სადაც ეს დრამა ამ მოკლე ხანში იბეჭდებოდა.

აი მოკლედ ეს მინაარსი: ლედ-მაძა (ბ. კორაბლი და ე. მ. ესსი) ძლიერ შეწუხებულნი არიან უცხო ქვეყნებში წაუსლ შვილის ვახტანგის (ბ. ამყარაშვილი) შესახებ. წერილის ბოლოს ვახტანგ. ამუსაბანების მშობლებს, რომ ან დაჭკვიანდეს სულის სიმშვიდე რომ ისევ ადგილ იქმნა; მეორე რაც გრძობამ, რომელიც მთელ მის სიცოცხლეს სჩაგრავს, ჭეშმარიტ და ავტანილად ჭნდის. მშობლები შეეკრნენ ოჯახი ერთად-ერთი გზა და ეფიქრა დანეს ხმარობენ, რათა ეს მდგომარეობიდან გამოიყვანონ: ეხმარებიან რჩევით, ფულით და სხვ.; თანაც ამ ამბავთა ანიან, რომ ვახტანგი დაბრუნდება სახლში და ამით იქნება მის დანადგლაურებას ეშველოს რაიმე. ამასთანავე ერთად ახალ გაზრდა ქალს ელენეს (ქ. ჩხეიძე), რომელსაც ვახტანგთან მიწერ-მოწერა აქვს და ეკვარს კიდეც ეს, მეტადაც სწერს, ეს ვახტანგის ამქალიერი მისია რადგან სასწავლის მოხდენა არის. ამ აზრს ეს ეზიარების ნუცას, ვახტანგის ურცხოს დას (ქ. თავაძე). ნუცა ჯერ თითქმის ბავშვია, მაგრამ მიეჩვევა ეკვარს ელიზბარი, ეკრავს ვიოლონჩელოზე სერენადებს და კონსერვატორიაზე ოცნებობს. ლედ-მაძის ამბავი მართლდება და ერთ მშვენიერ მთვარიან დამეს, როდესაც ნუცა სერენადს უკრავდა, ვახტანგი ბრუნდება მშობლიურ ჭერ-ქვეშ. ბრუნდება სრულიად დაუგ დებელი, ჭლექის სენით შეპყრობილი. აი ეს სენია expositio დრამისა ადგილად ამ შეუბრალებელ სენის ზეგავლენით ვახტანგის idée fixe-ად გარდაექცევა მარადისობა ადამიანისა. იგი ბევრ შეეწინააღმდეგება ამ აზრს რომ ადამიანის საუკეთესო გრძნობა-მის წრაფებანი ეშიაწყალო სიკვდილმა უნდა გაანადგურის; რადისოვის-და უნდა ადამიანს ან აზრი, ან გონება და სხვა რამე დიდი გრძნობანი? სიკვდილის წინაშე შიში მას მოსვენებას არ აძლევს. საჭიროა რომ ეს შიში ფსიხოლოგიურად ძლიერ აქმნას ადამიანის მიერ. ამ თვალსაზიერად საკითხს ვახტანგი გაანალიზებს თავის თხზულებაში, რომელსაც შეიტანს თავის ცოდნასა, ძალას და

ენერგიას მოიხმარებს. ამითი იგი მიაღწევს თავის სასწაულს. ვახტანგის ექიმის აზრით ხსენებული ოხუნჯობა შესანიშნავია (ამ აზრს არც თვითონ ვახტანგი ეწინააღმდეგება). ბრძოლაში მარადისობისა განდაწყვეტილია: ვახტანგის ოხუნჯობა უკვდავს ჭეშმს ვახტანგის სიკვდილს. სიკვდილი და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეი დრამის ბერიშეტია. მაგრამ კატასტროფაც ახლოა. შეებრძოლებელი სენი მძვინვარებს და ანგრევს ვახტანგის ორგანიზმს. მოდის ეს დაზრდა ალბერგ და თავის სიკვდილია ბედნიერებას ჭეშმარიტ სიკვდილს. მარადისობა წეოშია, ეუბნება ალბერგ ვახტანგს. განცდა წეოიერი ნეტარება სიძლის იგივე მარადისობა ვახტანგი ჯერ ეწინააღმდეგება ალბერგს, შემდეგ კი ბოლო — ალბერგ მის თვალთა ალვარებას—გადეხვევა და ეკითხის. ალბერგ იწვევს ვახტანგს მთაზე, სადაც ნანგრევებია ძველი კოშკებისა: წავიდეთ იქ გავიცადოთ ნეტარება „წეოიერ მარადისობისა". ვახტანგი სთანხმდება და შეეკვრებიან მიდიან კოშკის ნანგრევებთან. ეუცა კი ამ დროს მეორე თავში ვითარდებოდა ალბერგის ეკლესიაში ეკლესიის ეს ცეობა. ალბერ ამ კატასტროფის მიზეზი თუ. შეებ მოისმის რომ ვითარდებოდა სიმი გაწყვეტა. ნუცა საშინელის კიეთით შეშფოთდება. მიშასგან თავზარ დაცემული ეძახის ალბერ და რიდესაც ალბერ მოდის და ეკითხება, რა იყო შეიდოთ, ნუცა ტრაგიკულად მიუგებს: „სიმი გაწყდა", ამ საშინელ ამბავს ზედ დაერთოვის ვახტანგის მოსვლაც, რომელმაც სისუსტისა გამო ვერ მიაღწია კოშკების ნანგრევებამდე. ბიჭიდან სისხლი წავარდება და სულს ალბერ.

„საწყალი ძმაკაცი! ვერ მოახლინა სასწაულმა!" ამბობენ, გულუბრუყვილო კაცთა სოფელ ნუცამ ეს სიტყვები და ყარაც ნელ-ნელა ჩამოსრიალდა.

ნეტავი ნუცას, რომელსაც ეოიდოხჩელის სიმი ეორო ებრალებოდა, ვიდრე „საწყალი ძმაკაცი" ეი ეს შინაარსი 4 მოქმედებად არის გაწყობილი. სამი მოქმედება შეიცავს განსაკუთრებით ლაბარაკს ადამიანის მარადისობის შესახებ.

ბიესის არქიტექტონიკა მეტად ეცნაურია, მეტი რომ არა ეთქვათ. სხვამ რა იკრძნა ამ სალამოს, მე არ ვიცი. მე კი, სწორე მოგახსენოთ, ვერ ვიგრძენ ის, რაც საჭირო იყო. ვერ განვიცადე დრამა. ან რანაირად შეიძლებოდა ამ დრამის განცდა, როდესაც იდეზია დრამისა მაში შეიქნების, თუ მოქმედ ბირთა ხასიათი და მათი მდგომარეობანი ლოგიკურად განვითარდებიან. ეს განვითარება დრამის ეგრედ წოდებული მოქმედებაა. აუცილებლად საჭიროა რომ იგი მიზეზიდან შედეგამდე მიდიოდეს. საკმარისი რიდია განცხადება ვახტანგისა: სიკვდილისა მეშინიან. ან და ამ შიშს ეხლეიო. მაშინ ხომ ეოველი ამბავი, ან ეიდოსოფიურ-მეცნიერული ტრაქტატი დრამა იქნებოდა. და ემოაგრეა ნაკლი „აწყვეტილი სიმისა" სწორედ ეს არის, რომ მსჯელობა სჭარობს მოქმედებას.

მეორეც ესა: მეუნდოდ ეიმეტ-ეიმეტ ... ბის გარეშეოდ ... ბეს ს მოქმედი ... ტრაგედიებიდან, მაინდ ... დარჩენ. რად ან ... ეს ... ეინ ... ? რასაკვირველ ... ? ... ? ... ?

ფაუსტი

(გაგრძელება)

ფაუსტ. მცირე მანძილი გვაკლია და, აგერ, იმ ქვამდის:
იქ დავისვენებთ დაქანცულნი სიარულისგან.
იქ ხშირად ვჯდებოდი მარტოდ-მარტო ფიქრით აღვსილი
და მიტანჯნია თავი ჩემი ლოცვა-მარხვებით.
იმედით მდიდარს, ღრმა მორწმუნეს ცრემლით და კვნესით
ვფიქრობდი ჭირის დასასრული გამომეთხოვნა
ზეციერისთვის და ხალხი რომ მადლობას მიხდის
იგი ხმა ჩემთვის გამბასვრელის დაცინვით ჰრეკავს.
ო, რომ შეგეძლოს ამ ჩემს გულში წაკითხვა მისი,
დიდების ღირსი მამა-შვილნი რა ნაკლებ იყვნენ!
მე მყავდა მამა უსწავლელი, პატივსაცემი
ის ბუნებასა და მის წმინდა საიდუმლოზე
თუმცა გულწრფელად, მაგრამ მაინც თავისებურად
რამდენადაც კი განათლება, სწავლა შესწევდა
ფიქრობდა მარად დაუცხრომლად გატაცებული.
იგი ადეპტა, ალქიმიკოსთ მეგობართ შორის
თავს მოიმწყვდევდა შავს, გამურულს ვიწრო ოთახში.
დაუსრულებელ რეცეპტების მიხედვით იგი
ერთსა სითხესა წინაალმდეგს შიგ ურევდა.
წითელ ლომისას,—თამამ საქმროს,—თბილსა ქმბაზში
სუზბილთან ერთად ჯვარსა სწერდნენ, შემდეგ ორივე
ერთ საქორწინო ადგილიდგან ამვებულ ალით
მეორე ადგილს გადაჰქონდათ და ამის შემდეგ
ჩნდებოდა ნორჩი დედოფალი სხვა და სხვა ფერით
მინის შუშაში და ეს იყო ითხვ-წამალი.
იხოცებოდნენ ავადმყოფნი და იმ დროს არვის
მოსვლია აზრად ეკითხნა, თუ ვინ განიკურნა?
და ჩვენ ამგვარად ჯოჯოხეთურ სასაქმებელით
ამ მთა და ბარად ვძვინვარებდით ჭირზე ძლიერად.
მე ათასისთვის იგი შხამი თვითონ მივეცი:
ისინი გასწყდნენ მე კი დავრჩი ცოცხლად იმ დრომდე
რომ გამეგონა თავზედ მკვლელებს ხალხი ვით აქებს.

ვაგნერ. ვით შეგიძლიანთ თქვენს თავს ამით ემდურებოდეთ!
განა თუ კარგად არ იქცევა ადამიანი,
ოდეს სხვისაგან შეთვისებულს ხელოვნებასა
სინდისიერად, ზედმიწევნით საქმეს უყენებს?
თუ შენ მამაშენს პატივსა სცემ ყრმა-ახალგაზრდა,
მაშინ სწავლასაც მისგან იღებ გულმოდგინებით,
თუ შენ ვაჟკაცმა შემდეგ ცოდნა წინ წაიყვანე,
მაშინ მისწვდება შენი შვილი სხვა მაღალს მიზანს.

ფაუსტ. ო, ნეტარ იმას, ვის იმედი კვლავ შერჩენია
და ჰგონებს თვის-თავს ზღვას დააღწევს ცთომილებისას.
რაც არ უწყიან, სწორედ იგი სჭირდებათ მარად,
და რაც უწყიან, ის არ ძალუძთ გამოიყენონ.
მაგრამ დავეხსნათ და ამ წუთის მშვენიერს ხალისს
ამგვარ ნაღვლიან ფიქრებითა ნუღარ მოვსწამლავთ.
თვალი მიაპყარ, საღამოს მზის წითელ სხივთაგან
ვით დაფერილა ქოხთ გარემო ამწვანებული.
მზე ესვენება. დღემ მოსჭამა თვისი სიცოცხლე,
მაგრამ მზე იგი ესწრაფვება იქითა მხარეს,
რომ იქ ახალი სიცოცხლე მან აღმოაცენოს.
ო, რომ მე ფრთანი ამ მიწიდან ზე არ მიტაცებს
და მზესთან ერთად არა ვსრბოლავ დაუსრულებლად.
მენახა მუდმივ მწუხრის სხივში მყუდრო მსოფლიო

ფერხთ-ქვეშ გაშლილი, შენახა თუ რარიგ იგზნება
ირგვლივ მწვერვალნი, ან მინდორი ვით მყუდროობენ
ან ვერცხლის წყარო ოქროს ნაკადს ვით უერთდება
მაშინ ჩემს ესრეთს ღვთიურს ფრენას ვერ შეჰბორკავდა
მთა უხიაკი თვისის უბსკრულ-ნაპრალებითა.
და აგერ ამ ჩემს განცვიფრებულს თვალთა წინაშე
უკვე იშლება ზღვა ნელთბილის ფართო კალთებით.
მაგრამ ვგონებ რომ მზე-ღვთაება სულ მთლად ჩაინთქა.
მაინც ამ გულში მთლად აღმძვრის ახალი ლტოლვა,
შორს მივისწრაფვი, რათა შევსვა სამარადისო
მისი სინათლე ჩემ წინ დღეა, ჩემს უკან ღამე,
ჩემს მაღლა ზეცა, ჩემს დაბლა კი ზღვისა ტალღები.
ვიმ, ეს ოცნება საუცხოვო! და რა მსწრაფლ ჰქრება!
ვაგლახ, სულიერ ფრთას არ ძალუძს ესდენ ადვილად
შეისხას ფრთანი ხორციელნი და წინ გაჰქროლოს.
მაგრამ ზოგიერთს შობითა აქვს თანდაყოლილი
რომ მისი გრძნობა მძაფრის ძალით მაღლა ისწრაფვის
ოდეს ჩვენს თავზე ლურჯ სივრცეში მთლად დაკარგული
ტოროლა ჰგალობს წკრიალა ხმით, ოდეს ნაძვნარის
დაქანებულსა მთის წვერვალზე არწივი სცურავს
ან მინდვრად ტბიდან სამშობლოსკენ წერო მიფრინავს.

ვაგნერ. სწორედ მაგგვარი წუთნი მეც კი მომხანებია
მაგრამ მაგგვარი ლტოლვა კი ჯერ არ განმიცდია.
ტყესა და მინდვრებს თავისუფლად ძალუძთ უმზირონ
თვით გაძღომამდე, მაგრამ ფრინველთ ქროლვა და ფრთანი
მე არასოდეს შემშურდება; ხოლო სულ სხვაა
როს სულიერსა სიხარულსა წიგნიდან წიგნზე
ანუ ფურცლიდან სხვა ფურცელზე ჩვენ გადავყევართ.
აქ ზამთრის ღამე ხდება ტკბილი და სასურველი,
რადგან სიცოცხლე ნეტარი მთელს სხეულს ათბობს
და თუ, ახ, კიდევ სხვას გადაშლი ღირსეულ ეტრატს
მაშინ ხომ შენთან მთელი ზეცა დაბლა ეშვება.

ფაუსტ. ერთი ლტოლვაა, მხოლოდ ერთი შენთვის ცნობილი!
ო, ნუ გაიცნობ ნურაოდეს მეორე ლტოლვას.
ვაგლახ, ჩემს მკერდში ორი სული ერთად ცხოვრობს
და ერთს სულსა ჰსურს დაუდგრომელს მოსწყდეს მეორეს.
ერთი აღვსილი სიყვარულის მკვეთრი სურვილით
ჩასჭიდებია ამ სოფელსა და არ ჰშორდება,
ხოლო მეორე ამ მიწიდან გაწაფებული
ზე მიისწრაფვის დიდ წინაპართ სამყოფისაკენ!
ო, თუ არსებობთ, სულნო, ვითმე ლაჟვარდს ეთერში
და დიდებულად დაჰქროლავთ თქვენ ცა-მიწის შორის,
მაშ ძირს დაეშვით მაგ ოქროვან ჰაერ სივრციდან,
და გამიკვლიეთ გზა სულ ახალს, მრავალ ფეროვანს
ცხოვრებისაკენ! ნეტამც მქონდეს ჯადო-ნაბადი,
რომ გაეტაცნა ჩემი თავი უცხო ქვეყნებში!
მას გავცვლიდი უძვირფასეს ტანისამკაულში,
მას არ გავცვლიდი სანეტაროს მეფის პორფირში.

ვანგერ. ნუ მოუწოდებ კარგად ცნობილს მაგ გროვა-გუნდსა,
რომელიც ყველგან გაფანტულა ოქროვან სივრცეს
და ადამიანს ათას-ვარსა სძლევნიან განსაცდელს
ყოველ კუთხიდგან; ჩრდილოეთით კბილებს გიკრეჭვს
და გაისრებულს ენას გიყოფს; აღმოსავლეთით
ხმელის გვალვითა შენს ფილტვებსა უახლოვდება,
და თუ სამხრეთი გიგზავნის მას უდაბნოთაგან,

მაშინ შენს კეფას ალს უკიდებს ბაბანაქებით,
თუ დასავლეთით წამოსულა გროვა და გროვა,
ჯერ გაგაგრილებს, მერე წაგლეკს შენც და
მინდერებსაც.
სიამოვნებით გვიგონებენ, რომ რამ გვაზნიონ
და გვმორჩილებენ, რომ როგორმე ჩვენ მოგ-
ვატყუონ
მათ თავი მოაქვთ, ვითომც იყვნენ ცით მოგ-
ზავნილნი
და ჩურჩულებენ ანგელოზებრ, ოდეს ცრუ-
ობენ.
აწ კი წავიდეთ! სოფელს უკვე დინდი ეკვრება,
სიომ დაჰბერა და ღრუბელი დაბლა ჩამოწვა.
საღამოობით სახლის ჭერი ფასდება ხოლმე.—
რას შესდექ ასე და რას უმზერ გაკვირვებული?
ამ ბინდის ჟამსა რამ მიიპყრო შენი გონება?

ფაუსტ. ჰხედავ შავს ძაღლს, ბალახსა და ჯეჯილ-
ში დახტის

ვაგნერ. დიდიხანია მას ვხედავდი, მაგრამ ეგ ჩემ-
თვის
არ წარმოადგენს არავითარს საკვირველებას.

ფაუსტ. აბა, მას კარგად დააკვირდი. რად გეჩვენება
იგი ცხოველი?

ვაგნერ. ფინია და, რომელიც ეძებს
ჩვეულებისებრ პატრონის კვალს გაცხარე-
ბული.

ფაუსტ. ამჩნევ ხორს იგი რომ აკეთებს იელი-ბავ-
ლოებს
აქ ჩვენს გარშემო, თანდათანაც გვიახლოვდება.
და არა ეჯდები უკან რჩება ალი ცეცხლისა!

ვაგნერ. ვერაფერს ვხედავ, თუ არ მხოლოდ შავსა
ფინიას.
თქვენს თვალს შეცდომით შესაძლოა ეჩვენე-
ბოდეს.

ფაუსტ. მგონია, თითქოს თილისმურსა ყულფებს
ნასკვავდეს,
რომ შემდეგ იგი წამოგვაცვას ფეხთ შესაბორ-
კად.

ვაგნერ. მე ვხედავ შემკრთალს, შეშინებულს ჩვენს
ირგვლივ მხტომსა
რადგან ორს უცნობს ჰხედავს იგი პატრონის
ნაცვლად.

ფაუსტ. შეავიწროვა მან წრე უკვე და ჩვენს ახლოა.

ვაგნერ. ჰხედავ, ძაღლია და არა სხვა რამ მოჩვე-
ნება,
წკმუტუნებს, მოსვლას თითქოს ჩვენთან ვერ
ბედავდეს.
აგერ, ჩაცუცქდა და კუდს აქნევს ვით ყველა
ძაღლი.

ფაუსტ. გვეთანამგზავრე, მოდი აქა, ჰე ჩუგრი,
ჩუგრი!

ვაგნერ. იგი ფინია მასხარა რამ ცხოველი არის.
შესდგები, ისიც ყუჩდება და ყურებსა აცქვეტს.
უძახი ისიც მოცუნცულებს. აბა, ერთი რამ
ვითომც დაჰკრგე, მას ხელათვე მოგირბენ-
ნებს,
შენი ჯოხისთვის გადახტება შიგ შუა წყალში.

ფაუსტ. შენ მართალი სთქვი, მოჩვენების არ ა
სცხია-რა.
გაწვრთნილი არის ხელოვნურად ნასში ყო-
ველი.

ვაგნერ. ძაღლი თუ კარგი გაწვრთნილია, მასთან
თვით ბრძენიც
რაღაც კავშირს ჰგრძნობს. დიახ, იგი შენს
მოწყალებას
თუ ყურადღებას იმსახურებს სამართლიანად,
იგი სტუდენტის მოსწრებული, კარგი მოწაფე.

(შედიან ქალაქის გალავანში).

ა. შ.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილ

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტერატურო

ჟ უ რ ნ ა ლ

წელიწადი მეოთხე.

„ქალი“-ზედ.

[illegible]

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.